დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 1 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №133/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 15 ოქტომბრის №133 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 16 ოქტომბრის №441/133-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- ზეწოლა მოახდინა მოსარჩელეზე და უკან გაახმობინა სარჩელი. ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებით, წელიწადზე მეტია რაც სასამართლო მის სარჩელს აღარ ღებულებს განხილვაში.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ 2022 წლის 11 თებერვალს, -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ამხანაგობა „--“-ს თავმჯდომარე -- -- და -- -- მიმართ. მოსარჩელეები ითხოვდნენ ამხანაგობა „--“-ს 2016 წლის 21 მარტის №-- კრების ოქმის გაუქმებას. ასევე, სახელმწიფო ბაჟის და იურიდიული მომსახურეობის ხარჯის 1800 ლარის მოპასუხისთვის დაკისრებას.

2023 წლის 1 სექტემბერს, მოსარჩელე -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სარჩელის გამოხმობის შესახებ.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2023 წლის 07 სექტმბრის საოქმო განჩინებით -- -- შუამდგომლობა მის ნაწილში სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდა.

-- -- და -- -- სარჩელი მოპასუხე -- -- და ამხანაგობა -- თავმჯდომარის -- -- მიმართ, -- -- მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველი.

ამავე სასამართლო სხდომაზე, მოსარჩელის -- -- წარმომადგენელმა -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სარჩელის გამოხმობის შესახებ, რომელსაც ასევე დაეთანხმა -- --.

-- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2023 წლის 07 სექტმბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა -- -- წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა სარჩელის გახმობის შესახებ. -- -- სარჩელი დარჩა განუხილველად.

2023 წლის 07 სექტმბრის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის დეტალური შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ მოსამართლემ საქმის ფაქტობრივ გარემოებებში გარკვევის მიზნით, კითხვები დაუსვა მოსარჩელე -- -- და მის წარმომადგენელს, რის შედეგადაც სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, მოსამართლემ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს საქმესთან დაკავშირებით არ ჰქონდა იურიდიული ინტერესი. შესაბამისად, მხარეს შესთავაზა სარჩელის გახმობა და სასარჩელო მოთხოვნის სრულყოფილად ჩამოყალიბება, რათა სასამართლოს ჰქონოდა შესაძლებლობა არსებითად ემსჯელა მოსარჩელის მოთხოვნაზე. ამდენად, მოსამართლის ქმედება მიმართული იყო მოსარჩელის ინტერესების დაცვისკენ. მოსამართლის მხრიდან მოსარჩელეზე ზეწოლის ფაქტი არ გამოვლენილა.

რაც შეეხება მოსამართლის მხრიდან -- -- ახალი სარჩელის წარმოებაში არ მიღებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოების საქმეთა წარმოების ელექტრონული სისტემის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის 31 ივლისს, -- -- ხელახლა მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით ამხანაგობა „--“ ს თავმჯდომარის -- -- და -- -- მიმართ. -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2024 წლის 1 აგვისტოს განჩინებით -- -- 2024 წლის 31 ივლისის სარჩელის განსახილველად მიღებაზე ეთქვა უარი, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელეს, დავის საგნის ღირებულების გათვალისწინებით, გადახდილი არ ჰქონდა საკმარისი ბაჟი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, ხოლო 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/განაჩენის კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტებისა და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83^{1} მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლიხ 1^{1} ნაწილის შესაბამისად თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის (თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მოთხოვნათა დარღვევისა) ან/და მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძვლის არარსებობისას სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სასამართლო: ა) მიიღებს სარჩელს, თუ აღნიშნული დარღვევა არსებითი არ არის. დარღვევა არსებითი არ არის, თუ მისი გამოსწორება შესაძლებელია მოსარჩელისთვის ისეთი სასამართლო დავალების მიცემით, რომელიც ხელს არ უშლის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისთვის ჩაბარებას; ბ) გამოიტანს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებულ განჩინებას, თუ აღნიშნული დარღვევა არსებითია. დარღვევა არსებითია, თუ მისი გამოსწორება შეუძლებელია მოსარჩელისთვის ისეთი სასამართლო დავალების მიცემით, რომელიც ხელს არ უშლის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისთვის ჩაბარებას.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2024 წლის 15 ოქტომბრის №133 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი